პროექტი

ეკონომიკური და არაეკონომიკური ურთიერთობების ურთიერთდამოკიდებულება და თავისებურებები

პროექტის ხელმძღვანელი:
გივი მაკალათია
თჰუ აფილირებული ასოცირებული პროფესორი

საკითხის აქტუალობა და კვლევის სიახლე

თანამედროვე პირობებში სოციალური მეცნიერებებისათვის მთავარი გამოწვევაა ადამიანებს შორის სამართლიანი ურთიერთობების დამყარებისათვის, არსებულთან შედარებით, უკეთესი მეთოდებისა და მოდელების შექმნა.
უნდა აღინიშნოს, რომ „უფასო“ სამყაროში არაფერია, შესაბამისად, ისევე, როგორც ანაზღაურებად აგრეთვე არაანაზღაურებად შრომით ურთიერთობას გააჩნია თავისი ალტერნატიული დანახარჯი. არაანაზღაურებადი შრომითი ურთიერთობა დაფუძნებულია წრფელ გრძნობებზე, რომელიც ფულთან დაკავშირებული არ არის. მოცემულ ორგვარ სოციალურ ურთიერთობებს შორის არის მჭიდრო კავშირი, შესაბამისად, ჩვენი მცდელობაა მოცემული ეკონომიკური მოდელის პირობებში გამოვავლინოთ მათ შორის არსებული თავისებურებები. აგრეთვე, ავტორის მცდელობაა გამოიგონოს და/ან ხელი შეუწყოს უკეთესი ეკონომიკური პრინციპების ჩამოყალიბებას. პრაქტიკაზე ჩვენი დაკვირვების შედეგად, აღნიშნული თემატიკა მწვავე პრობლემებს მოიცავს, რის გამოც კვლევის ამ მიმართულებით ჩატარება, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია.

კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ჩვენი ამოცანაა გავაანალიზოთ ეკონომიკურ თეორიაში არსებული ღირებულების თეორიები. დღესდღეობით პრაქტიკაში დანერგილია და შესაბამისად, სოციალური ურთიერთობები ეფუძნება მენგერისეულ „სუბიექტური ღირებულების თეორიას“. თეორიის ამოსავალი წერტილია საქონლისა და მომსახურების ფასის გამოვლენა, მხოლოდ მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობის შედეგად. სმიტისეული მიდგომაც იგივეა, თუმცა განსხვავება, მათ შორის ისაა, რომ ფასწარმოქმნა სმიტმა გაწეული შრომის საათებს და შესაბამის ანაზღაურებას დაუკავშირა, მაშინ როცა მენგერი, არ მიიჩნევს შრომას, როგორც ობიექტურ ფაქტორს თითოეული საქონლის თუ მომსახურების ფასის დადგენის პროცესში.

კვლევის მეთოდოლოგია

ინფორმაციის კუთხით სხვადასხვა მაკროეკონომიკური პარამეტრები, რომელიც არის რაოდენობრივი მაჩვენებლები და სოციოლოგიური გამოკითხვები, ეკონომიკური მოდელის ეფექტიანობის შეფასებისათვის საკმარისი არაა. მნიშვნელოვანია აგრეთვე მეცნიერის მიერ ადამიანებთან ურთიერთობის შედეგად გამოტანილი დასკვნების ანალიზი, რომელიც ეფუძნება ადამიანების ეკონომიკურ ქცევას. შესაბამისად, კვლევის მეთოდად არჩეულია სტატისტიკურ მონაცემების გაანალიზებასთან ერთად, ადამიანების ეკონომიკურ ქცევებზე დაკვირვება. ეკონომისტი თვითონ მონაწილეობს და პრაქტიკაში თვითონვე ახორციელებს სხვადასხვა ეკონომიკურ ტრანზაქციებს. იგი ცდილობს ადამიანების ეკონომიკური ქცევის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას იმ ეკონომიკური პრინციპების პირობებში, რომელიც არის დანერგილი პრაქტიკაში იმ მოცემულ პერიოდში. ადეკვატური პასუხების მიღებისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიაა შედარებითობისა და დაკვირვების პრინციპი. შესაბამისად, კვლევის მიზნის მიღწევა განხორციელდება შემდეგი მეთოდებით: შედარებითობის პრინციპითა და დაკვირვებით. შედარების მეთოდის გამოყენებისას გაანალიზდება რაოდენობრივი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები,

ხოლო დაკვირვების მეთოდის გამოყენებით კი დანერგილი ეკონომიკური მოდელის სოციალური ასპექტების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

კვლევის მოსალოდნელი შედეგებია:

1. სმიტისეული „უხილავი ხელის“ პრინციპზე დაფუძნებული ეკონომიკური ტრანზაქციების განხორციელების შედეგად ჩამოყალიბებული ადამიანების ეკონომიკური ქცევების გამოვლენა.
2. აღნიშნული ეკონომიკური ქცევების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა და მისი თავისებურებების წარმოჩენა.
3. ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი შრომითი ურთიერთობების ურთიერთქმედების შესაბამისი მექანიზმის გამოვლენა (შესაძლოა დამოკიდებულების ვიზუალურად, გრაფიკულად გამოსახვაც)
4. პრაქტიკაში მოქმედი ღირებულების თეორიის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა. .
5. უკეთესი ეკონომიკური თეორიის შემუშავების მცდელობა, რომელიც იქნება არსებული ეკონომიკური მოდელის გაუმჯობესებული ვერსია.

.